



საბარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზეთი №5(187) 2019 წ. 1-15 მარტი შასი 1 ლარი

დედა...

„დედის გული ზღვა არის სიყვარულისა, რომ უთხრა, შეილი რომ უკვდებოდეს, ორი დღის სიცოცხლე მოემატება შენს შვილსო, ოღონდ სული საუკუნო ჯოჯოხეთს მიეცი, დედა მაგასა იქმს, შეიღმა კი დედისთვის რომ ევა ქნას, დედა-იწყენს...“

„გაზრდა შეიღისა... ისეთი მოვალეობაა, რომ ყველაფერი ამას უნდა შეეწიროთ!...“

“ქართველებისთვის “დედა” მარტო მშობელი არ არის, ქართველი თავის ენასაც “დედა ენას” ეძახის, უფროს ქალაქს – “დედა - ქალაქს”, მკვიდრს და დიდ ბოძს- “დედა-ბოძს”, უდიდეს და უმაგრეს ბურჯს- “დედა-ბურჯს”, სამთავრო აზრს- “დედა-აზრს”, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი –“გუთნის – დედას”. რამდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული და სიმკვიდრე კი აღნიშნულია დედობით, ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელს! სიტყვა ქალი განა იმოდენს გეტყვის, რასაც გეუბნება “დედა” და ამასთან ერთად “კაცი”.

ილია

დედაშენი არის ღმერთი. შენ რომ ზიხარ და უყურებ. ისიც რომ გიყურებს. შენ რომ დედას ეძახი და ის შეიღს გეძახის, ამიტომ შენ გგონია ღმერთი არ არის? შენ ღმერთი ვინ გგონია? წვერებიანი ბაბუა? დრუბლებზე ზის და პირს რომ იბანს, წვიმა მოდის? ღმერთი ისე ნათელია, ისე ახლობელი, ისე ახლო და ისე უბრალო, რომ როდესაც ხედავ, არ იცი რომ ღმერთია, ამაშია ღმერთის უბედურება, ამიტომ არ შწამთ ღმერთისა. ღმერთი რომ სხვაგან იყოს, შორს ჩვენგან, ცაღკე და მაღლა, ღმერთი რომ ჩვენში არ იყოს, მაშინ ყველა იწამებდა. ამაშია საქმე!... ღმერთი მაშინ უნდა იწამო, ღმერთის სახე რომ არ აქვს, რომ არ ჰგავს ღმერთს, რომ არ გეუბნება, ღმერთი ვარო, პურს რომ გიყოფს, სადილს რომ გიკეთებს, ტანზე რომ გაცმევს, თავზე რომ გახურავს, გიღიმის და გეფერება, გკოცნის და ტირის შენი გულისთვის, კვდება შენი გულისთვის, ცივა, წყურია, შია შენთან ერთად, სულს აძლევს ეშმაკს შენი გულისთვის, მაშინ უნდა იწამო... აბა, ღმერთმა თუ თავისი სახე გაჩვენა, კედელთან მიგაყენა, ყური აგიწია და თვითონ თუ გითხრა ღმერთი ვარ და მიწამო, მაშინ რაღად უნდა ღმერთს შენი რწმენა? ასეთ ღმერთს შენ კი არა, ყველა იწამებს. ღმერთი მაშინ უნდა იწამო, შენ რომ გგავს, მე რომ მგავს, დედაშენს რომ ჰგავს, გასაგებია? . . .

ნოდარ ლუშბაძე



დედა ცოცხალია, მანამდე გულადად ხარ, სიკვდილისა არ გეშინია, სიცოცხლით ღაღობ, ვერა გრძნობ სიკვდილის მხერვას, რადგან დედა ჩამდგარი შენსა და სიკვდილს შორის, თავისი სუსტი ბეჭებით სიკვდილს წინ ელოდება და მისი მწველი მხერვისაგან გიფარავს, თვითონ იწვის სიკვდილის აღმოდებულ მხერვად. წავა დედა და ჩამოიხსნება ფარდა შენსა და სიკვდილს შორის, რომელიც მგელივით წამოგვარდება, მოსვენებას დაგიკარგავს, სიღაღეს ჩაგიკლავს და თან გეშინია, თან იმას ცდილობ, ახლა შენ აეფარო ბეჭებით შენს შეიღებს, რომ დაიფარო ამ ამაზრზენი მხერვისაგან. რაც ხანი მიდის, ძაღლს ეგ გაცდის ეს დამორღუგევი მხერვა და ერთი წამითაც არა გცილდება, სულ თან დაგდევს და გულ-ღვიძლს გიწვავს ქვეშეცნეულად. შენ კი მაგრობ, მაგრამ თავისი მიაკვთ გარდასულ დღეებს, თანდათან მუხლებში ძალა გეკლავს, ახალგაზრდობის ოცნებები უფერულდება და გრძნობ, როგორ თანდათან იზრდება შენს არსებაში შიში, სიკვდილის მხერვით თუ რაღაც გარდაუვალობის შეგრძნებით გაჯერებული შიში, რომელსაც შეიღება რომ გაუმხილო ეს შიში, წასულია ამ ქვეყნიდან, შენ კი მარტო ხარ და ხან დედისაგან გაკეთებულ საჭმელს ნატრულობ, როცა გშია, ხან დედისაგან მოქსოვილ ხელთათმანებს, ან წინდებს, როცა გცივა და შენ თავსაც კი არ უმხელ, ისე იძინებ იმ სურვილით, რომ იქნებ სიხმარში ნახო დედა, იქნებ სიხმარში მაინც განმეორდეს ის საოცარი იმედიანი მოფერება, ადამიანის სულიდან სიმარტოვესაც რომ აფრთხობს და არარაობის განცდასაც, სამაგიეროდ კი ხალისითა და იმედით გავსებს.

ამონარედი გოდერძი ნოხელის ნაწარმოებიდან “ანბნულ(ო)ზომ(ო)ბა”



კვირფასო ქალბატონებო!

ბილოცავით გაზაფხულის შემობრძანებას, მარტის უღამაზეს და უსაყვარლეს დღესასწაულს – დედისა და ქალთა საერთაშორისო დღეებს!

დაე, ამ გაზაფხულს მოეტანოს თითოეული თქვენთაგანისთვის სიკეთე, სიხარული, ქალური ბედნიერება.

ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა დღენიადაგ ზრუნავს მუნიციპალიტეტში მცხოვრებთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე. წესრიგდება ინფრასტრუქტურა – მიმდინარე წელს თითქმის ყველა სკოლაში აღზრდის დაწესებულება იქნება რეაბილიტირებული, მალე დასრულდება კოჭბანელი პატარებისთვის საბავშვო ბაღის ახალი შენობის მშენებლობა, უახლოეს ხანში დაიწყება სოფელ სათაფლეში მცხოვრები პატარებისათვის საბავშვო ბაღის მშენებლობა, ასფალტის საფარით იფარება ქალაქისა და სოფლების ქუჩები, კეთდება და გაკეთდება წყალსაწვრები არხები, იცვლება სასმელი წყლის დაზიანებული სისტემები, რეაბილიტირდება სასმელი წყლის სათაფლე-ნაგებობები; პირველად კეთდება გარე-განათება იმ სოფლებში, სადაც არასოდეს ყოფილა, ყურადღება ექცევა სოფლის მეურნეობის, მცირე ბიზნესის შემდგომ განვითარებას, რაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებ მანდილოსნებიც. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი გაკლენას იქონიებს ჩვენს მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალბატონების ყოველდღიურ საქმიანობაზე, განსაკუთრებით შევიმსუბუქებთ საოჯახო საქმიანობის შესრულებასა და შეიღების აღზრდაში გაწეულ შრომას.

კეთილი სურვილებით

ბილოცავის მუნიციპალიტეტის მერი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი,

იოსებ ჩაღატაიაშვილი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

რომან მუხიაშვილი,

საქართველოს პარლამენტის წევრი, მაჟორიტარი დეპუტატი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან.

„სიზამთრისა შეიღის გაჩენა, მაგრამ დედობა არის გამირობა“

შოთა ნოშინიანიძე

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

28 თებერვალი, 2019 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას ამავე საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილი უძღვებოდა.

დღის წესრიგის I საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თინათინ აბაილაშვილმა**.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვრა შემდეგნაირად: შემოსავლები – 15 286 771 ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები – 3 236 171 ლარი, საკუთარი შემოსავლები – 12 050 600 ლარით.

გადასახადები – 10 655 600 ლარი;
გრანტები – 210 000;
სხვა შემოსავლები – 1 185 000;
ხარჯები – 9042735;
შრომის ანაზღაურება – 1 959 000;
სუბსიდიები – 4 159 080;
გრანტები – 12 500;
სოციალური უზრუნველყოფა – 587 900 ლარი;
სხვა ხარჯები – 220 704;
საოპერაციო ხაზი – 3007.865;
არასაფინანსო აქტივების ცვლილება – 5157 218;
ზრდა – 5307218
კლება – 150 000;

ვალუტა და დეპოზიტები – 2167 353
რაც შეეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს, გადასახდელებს და ნაშთის ცვლილებას, ასეთია:
– შემოსულობები – 15436.771 ლარი;
– შემოსავლები – 15 286.771
– გადასახდელები – 18594.770

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შემოსავლები 15286771 ლარით განისაზღვრა, საიდანაც:

– სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შეადგენს 3236 171 ლარს, ხოლო საკუთარი შემოსავლები შეადგენს 12050 600 ლარს;
– გადასახდელები საკუთარი შემოსავლებიდან – 10 655 600 ლარს;
– გრანტები – სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი 3232171 ლარს, ხოლო საკუთარი შემოსავლები – 210000 ლარს.

სხვა შემოსავლები – 1185000 ლარს;
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვრა 10 655 600 ლარით;

ქონების გადასახადი – 2800 000 ლარით;
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 10000

სასოფლო-სამეურნეო მიწის ქონების გადასახადი – 1720000

საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) – 790000

არასასოფლო-სამეურნეო მიწაზე ქონების გადასახადი – 280000 ლარი.

საკრებულოს წევრებმა განიხილეს და მიიწინააღმდეგეს 2019 წლის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი რეკონსტრუქციური პროექტები, რომელთა განხორციელებაც მიმდინარე წლის მარტის ბოლოდან დაიწყება:

სოფელ პატარამულის №2 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების (პროექტის სრული ღირებულება 455000 ლარი, მათ შორის თანადაფინანსება საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან 27300 ლარითაა განსაზღვრული) შენობის სრული რეაბილიტაცია.

დ. საბარეჯოში, გ. ქურდიანის ქუჩაზე „ღვთისმშობლის“ ეკლესიამდე მისასვლელი გზის მოასფალტება (236 260 ლარი, თანადაფინანსება – 11813 ლარი).

დ. საბარეჯოში, რუსთაველის ქუჩაზე (ე.წ. „წიფლის ხევის“ მიმდებარე გზის მოასფალტება (398 430 ლარი, თანადაფინანსება – 19925 ლარი).

ასევე, განხილულ და მიწინააღმდეგეს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ დაფინანსებული პროექტები, კონკრეტულად, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით დაფინანსდება შემდეგი პროექტები:

კოჭანის თემი
სოფელი კოჭანი – გარე განათება

სოფელი ოთარანთკარი – სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია

სოფელი სასადილო – სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია;

სოფელი გორანა – სასმელი წყლის 2 ავზის შეცვლა; ხიდის მშენებლობა;

სოფელი იკელი გორანა – „კობახევი“ გაბიონის მოწყობა, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია.

გომორის თემი
სოფელი გომორი – გარე განათება, საჯარო სკოლის ეზოში სპორტული მოედნის მოწყობა; სასაფლაოს შემოღობვა;

სოფელი რუსიანი – გარე განათება, სარიტუალო დარბაზის დამთავრება და ინვენტარი;

სოფელი ვერონა – მოსახლეობის თავშეყრის ადგილის მოწყობა;

სოფელი ვაშლიანი – გარე განათება; სოფელი ასკილაური – გარე განათება, წყლის სათავე ნაგებობის რეაბილიტაცია.

უჯარის თემი
სოფელი უჯარმა – სკვერის მოწყობა, გარე განათება;

სოფელი მუხროვანი – გარე განათება, სარწყავის სისტემის რეაბილიტაცია;

სოფელი პაღლო – გარე განათება, სკვერის მოწყობა;

საშში სანიადვრე არხები; გარე განათება; სოფელი **პატარამული** – სკვერი, სპორტული მოედანი.

სოფელი **606070809** – გარე განათება, სანიადვრე არხი („გოგინაძე“);

სოფელი **წყაროსთაში** – სპორტული მოედანი, გარე განათება;

ბიორბიჭინდის თემი
სოფელი გიორგიმინდა – გარე განათება; სოფელი მარიაშვილი – სასმელი წყლის ავზის რეაბილიტაცია, სკვერი სოფელ ანთოკთან ერთად;

სოფელი ანთოკი – მოსაცდელის მოწყობა, სკვერი სოფელ მარიაშვილთან ერთად.

ქემო სამგორის დასახლება - სასმელი წყლის რეკონსტრუქციის ამოღება, მოსაცდელის მოწყობა, გარე განათება;

სოფელი **თოხლიაში** – გარე განათება, სკოლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა (შემოღობვა);

სოფელი **მანაში** – სკვერი; ბურდიანი – სპორტული დარბაზი; სოფელი **დიდი ჩაილში** – სპორტული მოედნის მოწყობა, საბავშვო ბაღის შემოღობვა;

სოფელი **პატარა ჩაილში** – ეკლესიის შემოღობვა, მემორიალის რესტავრაცია;

სოფელი **პაპაშაში** – 3 სასაფლაოს შემოღობვა;

სოფელი **მერხვიანი** – გარე განათება, სანიადვრე არხების მოწყობა;

სოფელი **ზემო ყანდაშა** – სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის რეაბილიტაცია;

სოფელი **ყანდაშა** – გარე განათება, სასაფლაოს გზაზე ბოგირის მოწყობა;

სოფელი **პაღიაში** – ამბულატორიის რეაბილიტაცია; გარე განათება;

სოფელი **მზისბუღი** – გარე განათება, თავშეყრის ადგილის სველი წერტილის მოწყობა;

სოფელი **შიბლიანი** – სასმელი წყლის მიღების რეაბილიტაცია;

სოფელი **უბანო** – მოსახლეობის თავშეყრის ადგილზე სველი წერტილის მოწყობა;

სოფელი **სათაფლე** – სასმელი წყლის რეაბილიტაცია, სოფლის შიდა გზის მოწესრიგება;

სოფელი **იორმუანლო** – სასაფლაოს შემოღობვა, სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია;

სოფელი **მეშალო** – სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია, სანიადვრე არხის მოწყობა;

სოფელი **ზემო ლამბალო** – გარე განათება, მოსაცდელის მოწყობა;

სოფელი **მეშო ლამბალო** – გარე განათება, მოსაცდელის მოწყობა;

სოფელი **თულარი** – გარე განათება, სასმელი წყლის მიღების შეცვლა;

სოფელი **პაზლარი** – გარე განათება, სასმელი წყლის მიღების შეცვლა;

სოფელი **ღუზაბრამა** – გარე განათება, სარწყავი არხის მოწყობა;

სოფელი **პაღლო** – გარე განათება, სარწყავი არხის მოწყობა;

სოფელი **წიფაბატიანი** – გარე განათება, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია; დეპუტატებმა კენჭისყრით დღის წესრიგით გაწერილ სამეც საკითხს მხარი დაუჭირეს.

ირაკლი ღარიბაშვილის დაბრუნება პოლიტიკაში

პარტიის პოლიტიკური საბჭოს სხდომაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება თანამდებობაზე პარტიის მდივნის დანიშვნის თაობაზე.

შემოღობულ იქნა პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობის მდივნის თანამდებობა. აღნიშნული თანამდებობა დაიკავა პარტიის პოლიტსაბჭოს წევრმა გიორგი ვოლსკიმ.

აქტიურ პარტიულ საქმიანობას დაუბრუნდა ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც დაიკავა პარტიის პოლიტიკური მდივნის და პარტიის პოლიტსაბჭოს წევრის თანამდებობა.

ყველასთვის ცნობილია, რომ ირაკლი ღარიბაშვილი არის გამორჩეული თვისებებისა და გამოცდილების მქონე ადამიანი, რომელიც 2011 წლიდან მონაწილეობდა „ქართული ოცნების“ დაფუძნებასა და ჩამოყალიბებაში და რომელმაც პრემიერ-მინისტრისა და პარტიის თავმჯდომარის რანგში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენი სახელმწიფოს განვითარებაში.

პოლიტიკური მდივნის რანგში ირაკლი ღარიბაშვილი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს პარტიის შემდგომ გაძლიერებაში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირი



12 მარტი, 2019 წ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის ტრადიციულ თათბირს **ამავე მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ლემსო ბილაშვილი** უძღვებოდა. თათბირის დასაწყისში მან მიმოიხილა შპს „საგარეჯოს“ თანამშრომელთა მიერ ჩატარებული სამუშაოები, რომლებიც ცალკეულ სოფლებში ითვალისწინებდა ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, დაისვა პრობლემებიც, რომლებიც უმოკლეს ვადაში უნდა მოწესრიგდეს.

თათბირზე მოწვეული იყო სოციალური მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილების უფროსი თამარ ბერიძე, რომელმაც უპასუხა მერის წარმომადგენელთა მხრიდან დასმულ მწვავე კითხვებს, კითხვა-პასუხი ეხებოდა სოციალურად დაუცველთათვის შემწეობის მოხსნა-დანაშენის საკითხებს.

განხილული იქნა სოციალურად შეჭირვებული ოჯახების მდგომარეობა და სარეიტინგო ქულის მინიჭების კრიტერიუმები. გადაწყდა, რომ აღნიშნულ ოჯახებში განხორციელდებოდა სოციალური აგენტის ხელახალი ვიზიტი და მოხდებოდა სარეიტინგო ქულის ახლიდან გადაანგარიშება.

ჩვენს მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურა-2019

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაკაბეთში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, რეაბილიტირებული №2 საბავშვო ბაღი გაიხსნა.

ახლადგახსნილი საბავშვო ბაღი **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეებმა – ალექსი ბილაშვილმა, შოთა პაპაბაძემ, საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩალათაშვილმა, ა.ა.ი.ა საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება და დირექტორმა ელზა ბილაშვილმა** და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა დაათვალიერეს.

სკოლამდელი სააღმშრდელო დაწესებულების სრულად რეაბილიტაციის ღირებულებამ, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა 88 000 ლარი შეადგინა.



არხების გაწმენდა

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსი ბილაშვილი ქ. საგარეჯოში ცხველადის ქუჩის გასწვრივ მდებარე სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები ადგილზე მონახულა.



ჩვენს მუნიციპალიტეტში

ინფრასტრუქტურა-2019

წყალმომარაგება

საბარეჯოს მოსახლეობისთვის უწყვეტი წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით სამუშაოების მეორე ეტაპი მიმდინარე წლის ნოემბერში დაიწყო. „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ დირექტორმა ეკატერინე გალდავამ დაგეგმილი პროექტი ადგილობრივ მოსახლეობას გააცნო. რეაბილიტაცია ჩაუტარდება წყლის სათავე-ნაგებობას და რეზერვუარს, აშენდება 2000 კუბური მეტრი მოცულობის რეზერვუარი, დაგეგმილია ინდივიდუალური გამრიცხველიანება. სამუშაოები მომავალი წლის შემოდგომაზე დასრულდება, რის შემდეგაც მოსახლეობას უწყვეტი წყალმომარაგება ექნება. დღევანდელი მდგომარეობით, საგარეჯოს მოსახლეობის 40 %-ს წყალი 24 - საათიანი, უმეტეს ნაწილს კი დღევამოშვებით, რამდენიმე საათიანი გრაფიკით მიეწოდება.

სარემონტო სარეზერვუარი

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტებმა ზურაბ ზირაქაშვილმა და გივი ონაშვილმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მანდილოსნებს საჩუქარი საკუთარი ხარჯებით გაუკეთეს – მოიხრეშა და მოწესრიგდა შპს ჯეოპოსპიტალის შენობამდე ცენტრალური ავტომაგისტრალიდან მისასვლელი გზა.



დაზარალებულთა დასახმარებლად

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსი ბილაშვილი სოფელ ოთარაანთკარში დიდებაშვილების ოჯახს ესტუმრა. ძლიერი ქარისაგან მათი დაზიანებული და ამორტიზირებული საცხოვრებელი სახლი ადგილზე დაათვალიერა, ოჯახის წევრებს პირადად გაესაუბრა და დახმარება აღუთქვა.



პრობლემა მოიხსნა

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბაღიაშორში ე.წ. „სასაფლაოების უბანში“ სასმელი წყლის მიღების სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა. აღნიშნულ უბანს სასმელი წყალი უწყვეტ რეჟიმში მიეწოდება.



მოწესრიგდება ქუჩა

ახტიურად მიმდინარეობს გზის მოპირკეთების სამუშაოები სარაჯიშვილის ქუჩაზე



მორაბიის დედა დიდი ოჯახის ერთ-ერთი წევრთაგანი



თამარ თულაშვილი პატარძელის რაგბის კლუბ „ვეფხვების“ მორაბიის დედაა. მისი სურათი სოციალური ქსელის საშუალებით ვნახეთ – დედა შეიღობა გულშემატკივარი, მჭიდროდ მოკუმული ტურებით, რაგბის მოედანსა და მავრებელთა შორის ჩამონტაჟებულ რკინის გამყოფ გისოსებს მტკიცე ხელებით, მყარად ჩაჭიდებული, მკაცრად მოშინებული... რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ თამარს, მანაც არ დააყოვნა და გვიპასუხა:

– თამარ, როგორ შეხვედით შეიღობის რაგბით დაინტერესებებს?

– როგორ გითხრათ, უპირველესად ვეძებო ვეღვა მშობლებს, რომ თუ გინდა შენმა შეიღობა ისწავლოს გამძლეობა, ერთმანეთის გატანა, ფიზიკურად და სულიერად ძლიერი გაიზარდოს, შეეძლოს მიზნის შესასრულებლად კაცურად სიარული, შეიღობის რაგბის უნდა მიიყვანო. ჩემი შეიღობა – დედასთან ერთად „ვეფხვების“ არც დაგვიშლია. მას შემდეგ, სიამაყით გეტყვით, რომ მეც მათი ოჯახის წევრი ვარ. არ ვნანობ, პირიქით, ვამაყობ...

– დაგვიხსენიეთ დედასთან ერთად...

– დედასთან ერთად 19 წლის ძალიან უყვარს მეგობრები, თანაგუნდელები. ჩვენ რაგბთან 13 წლის ურთიერთობა გვაკავშირებს. დედასთან ერთად ვიყავი მორაბეებს აქვთ. თუ გინდათ მათი ხასიათების, თვისებების შესწავლა, ერთხელ მიხსენებთ და დასწრით რაგბის მატჩს. ესენი არიან ვაჟკაცური ბუნების, ურთიერთგაბანის, ურთიერთსიყვარულის, ქართველობის, კაცური ბუნების მქონენი. დედასთან ერთად, როგორც მისი თანაგუნდელები, არ ფიქრობს წარმართის მხოლოდ საკუთარი შესაძლებლობები და საკუთარი თავი. აქ ერთ გუნდად, ერთ მუშტად არიან შეკრული. ყველა ერთ საქმეს – გუნდის წარმატებისკენ მისწრაფებას ემსახურება. დედასთან ერთად თბილისის ეროვნულ უნივერსიტეტში სწავლობს.

– როგორ ხვდებით როგორც დედა შეიღობის თამარს ან ვარჯიშის დროს მიღებულ ტრავმებს?

– როგორც ყველა მისი გუნდის წევრის დედა – გარკვეული ემოციებით, ოღონდ მოზომილად, თავშეკავებულად – ის ხომ კაცია უკვე. გეტყვით, რომ მეც ძალიან მტკივა ხოლმე მისი ტკივილი, მაგრამ... ტრავმის შემდეგ უფრო შემართებით იწყებს ვარჯიშს, არ უშინდება არაფერს, არც იმწინებს, პირიქით, თავს არ ზოგავს... თანაც შერეიანების პირველხაზელი, №3-ია, ე.ი. ბურჯი.

ჩემი საუბრის დასასრულს მინდა ყველა დედას, ყველა მამას მოეუწოდო – არ შეაჩოვონ შეიღობები, პატარაობიდანვე მისცენ სპორტისკენ სწრაფვის, ხელშეწყობის საშუალება. დამერწმუნეთ, არ ინანებენ, რადგან სწორედ სპორტი აძლევთ მათ ყველაფერ იმას, რაც ცხოვრების გრძელ, ზოგჯერ რთულ, ზოგჯერ ტკბილ გზაზე საგზაოდ აძლევს – კაცობას, ადამიანობას...



მეუღლე, მრავალშვილიანი დედა, კედეგობი, რეპეტი

დღეს მრავალშვილიანობა მართლაც გმირობის ტოლფასია, რადგან ქვეყნის რთული პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობის პარალელურად აუცილებელი ხდება ჩვენი შეიღობის სულიერი სამყაროს ისე წარმართვა, რომ არ გადაუხვიონ ქართულ ტრადიციებს, არ დაივიწყონ ქართული ღირებულებები და პარალელურად ადამიანურად, ქრისტიანულად აუწყონ ფეხი დღევანდელობას...



სწორედ ასე ცხოვრობენ, ზრდიან ბავშვებს საგარეო ეკა (ელენე) გოგიშვილი და ვანო ზალიკანიანი. ეკამ თბილისის მეორე მუსიკალური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა უმაღლეს სამუსიკო ინსტიტუტში, ფორტეპიანოს სპეციალობით გააგრძელა და პარალელურად მუშაობდა (ზუსტად 25 წლის წინ) დაიწყო საგარეო სამუსიკო სკოლაში ფორტეპიანოს პედაგოგად. მეორე წელი კი ხელოვნების სკოლა „მირელა“შიც მუშაობს. ეკას და ვანოს ოთხი შვილი ჰყავთ, ლუკა – 15 წლის, ივანე – 13-ის, მაკა – 12-ის და თეკლა – 7-ის. ლუკას საგარეო პირველ საჯარო სკოლაში სწავლასთან ერთად უყვარს ცეკვა, ცეკვავს ანსამბლ „ალავერდი“, არის სოლისტი. საგარეო II საჯარო სკოლის მოსწავლეები. ივანე ფეხბურთელია, მაკა და თეკლა მუსიკას სამუსიკო სკოლაში სწავლობენ.

– მინდა იყო ოთხი შვილის დედა და იმუშაო ორ სამსახურში, – მეუბნება ეკა, – ყოველი დღე დატვირთული მაქვს, სოჯახო საქმეს დილით და საღამოს ვასწრებ, მაგრამ, რაც იზრდება ჩემი შვილები, ისინიც მენამრებიან საოჯახო საქმეებში, მაგრამ ყველაზე მეტად მეუღლე – ის უფრო მეტს ინაწილებს – ყოველნაირად ცდილობს და ორივე ერთად ვცდილობთ ჩვენს შვილებს საჭირო საყოფაცხოვრებო პირობები შევუქმნათ, ხელი შევუწყოთ

სწავლა-განათლებაში. ძალიან მინდა ჩემმა ოთხივე შვილმა შეიყვაროს ხელოვნება. სწორედ ისეთ რეპეტივარს ვურჩევ მათ, რომელიც აინტერესებთ, ადვილად შეისწავლიან და სიხარულით მიიღებენ. კვირა დღეს დავდივარტი ვიორჯიწმინდის დედასთან ერთად შობის სახელობის ეკლესიაში, სადაც დღიდან მისი ფუნქციონირებისა, ვარ მგალობელი, რეპეტი. ერთ ხანს ვერ ვახერხებდი



ისემატურად სიარულს, მაგრამ მოძღვარმა შემეწყო ხელი და ნელ-ნელა, მაგრამ მალე ისევ „რეპეტი“ ჩავდექით.

მე თავად მარტში ვარ დაბადებული და ძალიან მიყვარს ეს თვე. ყველა ქალს, დედას ვულოცავ მარტის შემობრძანებას, ყოველთვის ბედნიერად შეხვედროდნენ ამ თვეს და ესაბოთ თავიანთი შვილების წარმატებებით.

სწავლა-განათლებაში. ძალიან მინდა ჩემმა ოთხივე შვილმა შეიყვაროს ხელოვნება. სწორედ ისეთ რეპეტივარს ვურჩევ მათ, რომელიც აინტერესებთ, ადვილად შეისწავლიან და სიხარულით მიიღებენ. კვირა დღეს დავდივარტი ვიორჯიწმინდის დედასთან ერთად შობის სახელობის ეკლესიაში, სადაც დღიდან მისი ფუნქციონირებისა, ვარ მგალობელი, რეპეტი. ერთ ხანს ვერ ვახერხებდი

„ტყე შევუნახოთ შვილებსა!..“ ყველა პასუხი უნდა აგოს



24 თებერვალს საგარეო სათავის ტერიტორიაზე მოჭრილ ხეებზე გავრცელებულ ინფორმაციას მწვავე გამოხმაურება მოჰყვა სოციალურ ქსელებში. აღნიშნულ ფაქტზე განმარტება ვთხოვეთ სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კახეთის სატყეო სამსახურის საგარეო-გურჯაანის სატყეო უბნის უფროსს ლათო ბაბუშაშვილს. როგორც მან გვითხრა:

– 42 000 ჰა ტყით დაფარული ფართობია აღრიცხული საგარეო რაიონში. ეს არის: გომბორის, კოჭბანი-გორანის, უჯარმის, ხაშმის, პატარძელის, საგარეო ორი, გიორგიწმინდის, მარიამჯვრის, თხილთაურ-მანავის, ჩაილურის ორი, კაკაბეთის და

ყანდაურა-შიბლიანის 13 სამცველო. აღნიშნული ფაქტი, რომელიც საგარეო სათავის ტერიტორიაზე მოხდა, შესწავლილია, შედგენილია ოქმი და გადაგზავნილია სასამართლოში განხილვისათვის. შეგახსენებთ, რომ გასული წლის ოქტომბერში მანავში „კალონის“ წმინდა გიორგის სახელობის და ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიების მიმდებარე მოჭრა 300 წლოვანი მუხები, რომელთა დიამეტრი 120 სმ იყო. აღნიშნული ფაქტი შესწავლილი იქნა, შედგენილი ოქმი გადაეცა შესაბამის ორგანოს, რომელმაც დაუწესა ჯარიმა 1400 ლარი, მაგრამ... შემდეგ ეს ჯარიმაც აღნიშნულ პიროვნებას მოეხსნა...

საგარეო-გურჯაანის სატყეო უბნის საგარეო სატყეო უბნის ინსპექტორის ვაშა რევაზიშვილის განმარტებით: 4000 ჰა ტყის გაკონტროლება მისი ფუნქცია-მოვალეობაა, რომელიც მოიცავს ტერიტორიის გიორგიწმინდიდან ნინოწმინდის ტყეების ჩათვლით. რაც შეეხება სათავის ტერიტორიაზე ჩადენილ ქმედებას, შესწავლილი იქნა ადგილზე, შედგა ოქმი № 014988 აღმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ (24 თებერვალს) საგარეო სატყეო უბნის მცხოვრებ ზურაბ ბერიძეზე (2 ძირი ხე), ოქმი №014989 – საგარეო სატყეო უბნის მცხოვრებ ლევან ჭურჭელაურზე (2 ძირი ხე). აღნიშნული ხეები შეფასებული იყო – მესხეთ თანრიგის მეორე ხარისხის საშიში მერქანი. ორივე ოქმი რეაგირებისათვის გადაეცა სასამართლოს.

მინდა გითხრათ, რომ 1 მარტიდან ძალიან შევიდა კანონი, რომელიც ითვალისწინებს ხის უკანონო მოჭრაზე ჯარიმას 500 ლარიდან 5000 ლარამდე. მივესალმები კანონის გამკაცრებას ტყის უნებართვო ჭრის შესახებ, იქნებ ახლა მაინც გაფრთხილდნენ და გაუფრთხილდნენ ტყეს, რომელიც ჩვენი არსებობის, ჯანმრთელობის, სიცოცხლის გარანტიაა.

პატარა ბიჭის მიზნები მინდა, ყოველდღე გავახარო დედა

თამარ კერატიშვილი საგარეო IV საჯარო სკოლის პირველი კლასის მოსწავლეა. ძალიან უყვარს თავისი ლამაზი და ყველაზე გემოვნური სკოლის შენობა და იქ ატარებული ბავშვებიც. თვალგაფაციცებულად უსმენს თავის პირველ მასწავლებელს ასმათ ალხანიშვილს. თავის კლასელებთან ერთად სამზადისი ადრევე დაიწყო – სამი და 8 მარტიც ხომ ღირსეულად უნდა მიელოცა დედისათვის. თემუკას ცოტა „წავეჭორავით“.



– თემო, ვინ არის დედა შენი, რა პროფესიისა, სად მუშაობს?

– დედაჩემი არის ეკა კავთუაშვილი, ეკონომისტი, მაგრამ არ მუშაობს – ჩემზე და ჩემს პატარა ძმებზე – ლაშაზე ზრუნავს... ვნახოთ, იქნებ დაიწყოთ მუშაობაც...

– დამიხსენიეთ, როგორი დედაა ეკა?

– დედაჩემი ყველაზე კარგი, კეთილი და მზრუნველი, ჭკვიანი დედაა.

– თუ ბრძანებები ხოლმე დედაზე და როდის?

– არაა, რას ამბობთ. დედა ჭკვიანია, ძალიან ვუყვარვართ და არასოდეს გვაბრძანებს, პირიქით, ჩვენი ცვლქობით მე და ლაშა ვაბრძანებთ ხოლმე და მერე ორივე ვნანობთ...

– როგორ მიულოცე დედას დედის დღე?

– მინდა, რომ ყოველდღე გავახარო ჩემი კარგი სწავლით, დავდივარ ცეკვაზე, ჭადრაკის წრეზე ელენე ფარეშიშვილთან. უხარია დედას და იმედი აქვს, რომ კარგ წარმატებას მივაღწევ. დედის დღეს კი დედას ლამაზი ბარათით და წერილით მივულოცე, რამაც ძალიან გაახარა... მაგრამ ბებიებსაც მივულოცე – დალის და ქეთინოს და ჩემს ერთადერთ მამიდას – მარიამსაც, ჩემს მასწავლებელს ასმათისაც. ყველას ვულოცავ დედის დღეს!

სპორტი

ჭადრაკი

ძიუდო

ჭიდაობისათვის დაბადებული



წმინდა, ზრდილობიანი, ერთი შეხედვით ცოტა ზარმაცი, მაგრამ თუ ახლოს გაიცნობ, მიხვდებით, რომ ჭიდაობისათვის ბუნებრივად არის დაბადებული...

საგარეჯოლების: ნიკა გილაშვილის და როინ ყორღანაშვილის სსოფინსადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირის და გოგიტა რევაზიშვილის ტურნირების ვერცხლის პრიზიორი.

სამბო

ირაკლი კუპატაძე – მსოფლიო თასის ვიცე ჩემპიონი

ამასწინათ ბელორუსიის დედაქალაქში ჩატარდა მსოფლიო თასის გათამაშება ჭიდაობა სამბოში უფროსი ასაკის სამბისტებს შორის.

ირაკლი კუპატაძე მონაწილეობას მიიღებს ევროპის ჩემპიონატში უფროს ასაკში, რომელიც უახლოეს მომავალში ესპანეთში გაიმართება.

სამბო

საქართველოს ჩემპიონატზე

2001-2003 და 1999-2000 წლებში დაბადებულ

ჭაბუკებსა და ახალგაზრდებს შორის

1-2-3 მარტს თბილისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი ჭიდაობა ძიუდოში 2001-2003 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის.

ძიუდო

ამირან ღარბაისელის მეორე პერცხლი

მეორე ვერცხლის მედალი ჩვენებურმა მოჭიდავემ თბილისში ძიუდოში გამართულ საქართველოს ჩემპიონატის მეორე დონის შეხვედრაში მოიპოვა.

ევროპის ჩემპიონატის პერცხლის პრიზიორები

2-3 მარტს თურქეთში, ქ. ანტალიაში ჩატარდა ევროპის თასის გათამაშება ჭიდაობა ძიუდოში ჭაბუკებს, ვაჟებსა და გოგონებს შორის.

რაც შეეხება ნინო გულბანს, იგი უდაბნოელია, სწავლობს და ვარჯიშობს უდაბნოში.

აღსანიშნავია, რომ ნინო ლოლაძის აღნიშნული ასპარეზობა მთლიანად დააფინანსა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოლუნაშვილმა.

მიწოდებულია

გარეჯელი მოჭადრაკეების ტრიუმფი

1-8 მარტს თბილისის ჭადრაკის სასახლეში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგის აღმოსავლეთის ზონის ჩემპიონატი.



საგარეჯოელ მონაწილეთა სასახლეში უნდა ითქვას, რომ მათ ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს თბილისელ, ქართველ, რუსთაველ და ა.შ. მოწინააღმდეგეებს.

12 წლამდე ვაჟთა შორის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ზუკა გამრეკელაშვილმა (მწვრთნელი ირაკლი ქელიძე).

ანა და მარი ლიმაურებს შორის ნინოს მათთან შეხვედრა პირველ და მეორე ტურში მოუწია, ორივეჯერ უპირატესობა ჰქონდა, მაგრამ მათი რელიზაცია ვერ შეძლო და ყაიმებს დასჯერდა.

განსაკუთრებული შედეგი აჩვენა 8 წლამდე გოგონათა შორის მარიამ ავთიასვილმა (მწვრთნელი ირაკლი ქელიძე).

ინტერვიუ ჩემპიონთან

„ჭადრაკი tv“-ს ინტერვიუ მარიამ ავთიასვილთან მიზანმიმართულ მოჭადრაკეს, თამის ფოქვანი ვერცხლის ჩემპიონის 16 წლამდე ჯაბუკთა შორის ნოღარ ლორთქიფანიძეს.

ობა. მარიამის ასეთი წარმატებული თამაში არ გამორჩენია ჭადრაკი ტურნირებს და მასთან ორი ვრცელი ინტერვიუ მოამზადა, რამაც მაყურებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

ამვე ასაკში III საპრიზო ადგილზე 4 ქულით გავიდა საგარეჯოელი თეკლა ფეიქრიშვილი, რომელმაც შეძლო თავისივე თანაგუნდელი ანა ბუზარიაშვილის დამარცხება.

8 წლამდე ბიჭებს შორის 5 ქულით მესამე ადგილი დაიკავა ფართული საბრძოლველი, სამწუხაროდ შიო შიოშვილი 4 ქულით საპრიზო ადგილს ვერ შესწვდა.

ჩემპიონებს თასები, ოქროს მედლები და დიპლომები, ხოლო პრიზიორებს შესაბამისი სინჯის მედლები და სიგელები საერთაშორისო დიდოსტატმა ჭადრაკში, მსოფლიოს ვიცე ჩემპიონმა ნანა იოსელიანმა გადასცა.

პირველ 5 ადგილზე გასულმა მოჭადრაკეებმა მოიპოვეს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მონაწილეობის უფლება.

- ხედები ვერგე, რომ გაგებინებს?
- დიახ?
- ძალიან კარგი
რაზმდნ საათს მეცადინეობ ხოლმე დღეში. ან როგორ მეცადინეობ, მიღიხარ მასწავლებელთან... მერე რას აკეთებ, რომ მიხვდეთ, რა უნდა გააკეთოს, როგორ უნდა გახდეს ერთი დღით ადრე პირველი ლიგის გამარჯვებული, როგორ უნდა მოიგოს ექვსიდან ექვსი...
- მივიღივარ ყოველ დღე ჭადრაკზე. მერე სახლში რომ მივიღივარ, მრჩება ბევრი დრო და ჭადრაკში ვემუცდები.

ახალი ლექსები



მ ე დ ი ე თ ე ლ ა შ - ვ ი ლ მ ა ფ ე ზ ი ს ა გ ა რ ე ჯ ო შ ი ა ი ღ ბ ა ა ე ჟ დ ა ნ შ ე ი ც ი ნ ო დ ა ე ზ ი ა რ ა ე რ ე გ ე ო ვ ე ქ ი ე ვ ე ქ ა რ თ უ ლ ს , ა ე ო გ რ ი ნ ო ბ უ ნ ე ბ ი ს მ შ ვ ე ნ ი ე რ ე ბ ა , ს ჯ ე რ ა , რ ო მ ა ე ს ს ხ ე ა ნ ა ო რ ი , თ ბ ი ლ ი ს ხ ი ე ვ ე ბ ი თ ე ფ ე რ ე ბ ა მ ზ ე თ ა ე ბ ი ს ს ხ ი ე ვ ე ბ ი თ

„მათაყვანილო ჩემო დედა“

ელენეს ღვესები, გაზაფხულის მახარებელი ჩიტუნებივით აფრთხილებულიყავი, თუმცა, წაკითხვისას მეტი ფიქრის, „აღამიანად ყოფნის“ მეტად განსჯის სურვილს ბაღებს...

და მე როდის ვნახავ ნოდარიკოს, როდის დამთავრდება ეს დრო? მკითხველი კითხვისას ცრემლებს ცრემლზე იწვენს,

მხოლოდ ახლა მივხვდი, რატომ სანამ ჩემი ღმერთი მიყურებდა, ვფიქრობდი: ვინ მელაპარაკებოდა მუცელად ყოფნის დროს ასე თბილად, ვინ გადამიხსნა თავზე ხელი... ესეც გამოვიცანი, ნამდვილად ასეა, ჩემო ღმერთო...

ფანჯარა, ბუხარი, ჩაი და ფიქრები, გარეთ სუსხიანი ტოტების ქროლვა, ნაშში გახვეული ბალახის ამბორი, რომელიც ჩვენს მიწას ალურხით იცავს. ხელში ძველი წიგნი ნაცნობი გმირებით, ფიქრი, თავსატეხი, მრისხანე მხურა, ბუხრის ტაკაცირეკვი, ცეცხლი ტანგოს

მ ი რ თ ე მ დ ე ღ ა გ ა მ ი ბ რ ა ხ დ ა , რ ა ღ ა ც ა ს ვ ე რ ვ ი გ ე ბ დ ი დ ა მ კ ი თ ხ ა : - რ ა გ ე რ ო მ შ ე ი ლ ო ? ა ღ - მ ი ა ნ ი ს შ ე ი ლ ი არ ხ ა რ ? ძ ა ლ ი ა ნ გ ა გ ე ბ რ ა ხ დ ი დ ა წ ე ე ნ ი თ მ ა ა ხ ე ზ ე ზ ე , ა რ ა , მ ე ქ ა ლ დ მ ე რ ო ს ი , ა ნ უ შ ე ნ ი შ ე ი ლ ი ვ ა რ ...

მეკალათეები და დამკვერელები. „ბერიკაობა“ სხვადასხვა სახის იყო – დიდი და პატარა, საქალაქო, საბავშვო, სადარბაზო და კარდაკარი.

სულდგმულსაც და უსულოსაც, აქ მთავრის მერთაღი შექი სიკეთის ბილიტეზე აყენებს მორიყების მასაღენად გამოსულს, აქ სხვანაირი სიყვარულით ვიკეთებენ ვარსკვლავებს, სხვანაირი სურნელი აქვს დედის ხელიბგულს, მის ღოჯაზე მოსაფერებლად მოთათუნებულს...

ის, რამაც საუკუნეებს გაუძლო

„ბერიკაობა“



სოფელში ოჯახი, რომელსაც სტუმარი არ ჰყავდა. ამიტომაც ყველა განსაკუთრებით ემზადება, ჩაიღურებული დიასახლისებისათვის ერთგვარი რიტუალია – ქალების კეცვებში დაცხობა, მზადდება ძღვენი, რომელსაც ბერიკებს მიართმევენ.

ბერიკაობა ითვლება – მისი სახლიდან იწყებენ ბერიკებს სვლას. ზემოთ ვახსენე ძველი და ახალი სიუჟეტების პარამონიულად შერწყმა. დღესაც, როგორც წარსულში, ისინი, ვინც „ბერიკაობაში“ უნდა ჩაჯდნენ, წინასწარ თანხმდებიან და ერთად აგვარებენ ყველა საქმეს, რათა სანახაობით კარგად გაერთოს. ტრადიციულ ნიღბებს შორის გამოჩნდება ხოლმე თანამედროვე საშინელებათა ფილმების გმირები.

თეატრი, რომელიც ითვლებოდა ბუნების აღორძინების და გამოღვიძების სიმბოლოდ. ვინაიდან ადრე გაზაფხულზე იმართება და რომელშიც პარამონიულად არის შერწყმული ძველი და ახალი სიუჟეტები. რამაც საუკუნეთა განმავლობაში თავისი კვალი დაამჩნია.



ბერიკაობა იმ დღესასწაულთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელიც დროებით ავიწყდება და ისტორიული ავტოობით განჯარულ ქართულს მუდმივ საზრუნავს და შევებს გერიდა მასში ასახული ისტორიული მოვლენები. გმირებიც შესაბამისი ჰყავდათ: მთავარი ბერიკა, ტახი, დედოფლად გადაცემული ვაჟი, სიძე, არაბი, ლეკი, თათარი, მღვდელი, ნათლია, მებარგულები.



ბერიკების ფორმა მზადდებოდა პროხის ან ცხვრის ტყავისაგან, ხშირად ცხვრის ამობრუნებელი ტყავაკაბე ეცვათ ხოლმე ისინი ერთი კვირით ადრე იკრიბებოდნენ, ამზადდნენ ტახისამოსს და თან ადგენდნენ წინასწარ მონახაზს. მისი შესრულება კი ბერიკას სამსახიობო ნიჭზე იყო დამოკიდებული. ნაირნაირ მასალას იყენებდნენ ფორმების დასამზადებლად. ნიღბებსაც ცხოველის ტყავით ამზადდებდნენ, ხოლო კბილების მაგივრად გოგრის თესვას იყენებდნენ... ბერიკას ნიღბს, წვერს და ბალანს ნაყოფიერების მაგიერ მნიშვნელობის და ძალას მიაწერენ. ამიტომ, ერისთავის აღწერილობით ბერიკას დიასახლისი წვერიდან რამდენიმე დერს ჩამოაგლეჯდა და საქათმეში საბუდარში აწყობდა, რათა ქათმებს წლის განმავლობაში ბეერი კვერცი დაედოთ.

რედაქტორი: თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტიფიკაციო კოდი 438107460. ტირაჟი – 300 რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15, გაზეთი აიწყო და დაკავალდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორი“.



ტელეფონები: 599 502 842 599 851 143 ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

ქვე ჰიპოქამ-მუშაჰიმ, დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის ისტორიის მასწავლებელი